



120

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის სამმართველო
TBILISI DIVISION

№ 1-03/7508

26 დეკემბერი 2014წ

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და
განვითარების ცენტრის დირექტორს ლ. თოდუას

ქალბატონო ლია,

2014 წლის 24 დეკემბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან #59708 (24.12.14წ) წერილით თბილისის სამმართველოში შემოვიდა თქვენი 22 დეკემბრის # 2-706 წერილი, რომელიც ეხებოდა 2014 წლის 9 დეკემბერს სუპერმარკეტ „კარფური“-ში ეტიკეტირების წესის დარღვევით თურქული წარმოების ქათამის „ზეიპილინგ“ -ის (გაციებული) რეალიზაციის ფაქტს.

2014 წლის 24 დეკემბერს თბილისის სამმართველოს სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ზემოთ აღნიშნული ფაქტი, რომელიც დადასტურდა. კერძოდ, დატანილი იყო მხოლოდ რეალიზაციის ვადა და არ იყო მითითებული წარმოების თარიღი.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74¹ მუხლის II ნაწილის შესაბამისად, შპს „MAF HYPRMARKETS GEORGIA“-ს სუპერმარკეტი „კარფური“ (მდებარე ც. დადიანის ქუჩა # 7) დაჯარიმდა 1200 ლარით.

პატივისცემით,

ცეზარ მაჩიტაძე

სამმართველოს უფროსი